05/08/2025

MES 4 25 0000954725

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.07.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 19:53 საათი
სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე, I-IV; VII-IX
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი - საკითხი V, VI
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი - საკითხი III - IX
სხდომის მდივანი: ციური დურული - საკითხი I , II

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2] მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ბონდო გასვიანი -** შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
7. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
8. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
13. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
15. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
16. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ლალი ოდიშვილი** -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
- **ანა ქერაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
- **გიორგი ირემაშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

- დიანა მჭედლიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- დავით ნატროშვილი, კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
- გურანდა ჭელიძე, ,,ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ქეთევან ჩიგოგიძე, ,,კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **ნიკოლოზ ყაველაშვილი** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი
- **ნინო ჟვანია** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **სოფიკო ლობჟანიძე** - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, განათლების სკოლის დირექტორი, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი: “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)” მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა; დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); "ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)"; "ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა)”; „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა” ხელმძღვანელი.
- **მაია ბიწაძე -** ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **მიხეილ გიორგაძე** - განათლების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
- **მარიკა კაპანაძე -** “განათლების მეცნიერების” პროგრამის ხელმძღვანელი
- **ელენე ჯიბლაძე**- “განათლების ადმინისტრირების” პროგრამის ხელმძღვანელი
- **ხათუნა დოლიძე** - „ადრეული ბავშვობა, განვითარება, განათლება“ პროგრამის ხელმძღვანელი
- **ნინო გოგიჩაძე** - სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი
- **ნათია ანდღულაძე** - ასოცირებული პროფესორი
- **ქეთი ცოტნიაშვილი** - ასოცირებული პროფესორი
- **ლია ქურციკიძე** - მოწვეული მასწავლებელი

შპს უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

- ნათია გოცაძე - რექტორი
- მარიამ დარბაიძე – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- თეა ლორთქიფანიძე - სკოლის დეკანი;
- ანნა გვეტაძე - ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო არჯევნიშვილი - იურიდიული სამსახურის ხელმძრვანელი;

სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
სალომე თათულიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ლილი ხეჩუაშვილი
- ნანა ბურდული
- მედეა დესპოტაშვილი
- ანი ქვათაძე
- პიტერ მარსელ ვან პეტეგემი (Peter Marcel Van Petegem)
- მარინე გოგნელაშვილი
- ეკატერინე ფიფია
- რუსუდან სანაძე
- ილია ბოცვაძე
- ალექსანდრე კალანდაძე

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. სხდომის თავმჯდომარედ V და VI საკითხებზე იყო ქეთევან აფთარაშვილი, ხოლო სხდომის მდივანად I , II საკითხებზე არჩეული იყო ციური დურული.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს უნივერსიტეტი ,,ალტერბრიჯის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა.
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავრო, “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)” მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების” სადოქტორო, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), "ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის

მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)", "ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა) და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ქეთი ინანაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობის საკითხები:

1. **სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის** მიერ 8 ივნისს წარმოდგენილ წერილში (№ 840928, 08/07/2025) მოთხოვნილია „სურსათის ტექნოლოგიის“ 2 საგანმანათლებლო პროგრამის, კერძოდ, საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების კვალიფიკაციის კორექტირების საკითხი. ის უკავშირდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში და დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებულ ცვლილებას.
2. **სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ** ცენტრში წარმოადგინა წერილი (№ 16/672). მასში მოცემულია ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამების სახელწოდების ცვლილებების შესახებ. ეს ცვლილებები უკავშირდება ექსპერტთა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს უნივერსიტეტი ალტერბრიჯის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა.
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავრო, “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)” მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების” სადოქტორო, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), "ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)", "ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა) და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის

შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 06 ივლისის №769521 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

6. „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 თებერვლის №37 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
7. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ვიზუალური ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54364 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
8. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54369 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
9. „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54377 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

1. **პირველი საკითხი:** შპს უნივერსიტეტი ალტერბრიჯის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის საკითხის განხილვა.

პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ფსიქოლოგია, 0313
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა თეა მჭედლურმა. აცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 21 იანვარს. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სრული დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავდა 17 რეკომენდაციის შესრულების დეტალურ ანგარიშს. ექსპერტები ადგილზე შეხვდნენ დასაქმებულ ჯგუფს, შემოწმდა ინფრასტრუქტურა, გასაუბრება იყო როგორც აქტიურ სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. ამის საფუძველზე დაიწერა საბოლოო დასკვნაც. იმ სტანდარტებთან, რომლებიც ექსპერტებმა შეაფასეს, ეს იყო 1-ლი, მე-2 და მე-4, სრულ შესაბამისობაშია პროგრამა. ამის შესაბამისად, დამატებითი რეკომენდაციები არ გაცემულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ნათია გოგსაძემ აღნიშნა, რომ როგორც კი ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები ინსტიტუციამ მაშინვე დაიწყო მუშაობა მათზე. მაშასადამე, პროგრამა, რაც წარმოდგენილია სრულად მოიცავს ყველა რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:16
დასრულების დრო: 14:20
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს უნივერსიტეტი ალტერბრიჯის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს უნივერსიტეტი ალტერბრიჯის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. მეორე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხორციელებული პროცესი);

პროგრამის დასახელება: კლინიკური ფსიქოლოგია
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ფსიქოლოგია, 0313
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი უნივერსიტეტში არ განხორციელებულა. ექსპერტთა გუნდი გაეცნო დოკუმენტაციას, რაც წარადგინა ინსტიტუციამ. გაიცა მხოლოდ 3 რეკომენდაცია 1-ლი და მე-2 სტანდარტის ფარგლებში. რეკომენდაციები ეხება სწავლის შედეგების ჩასწორება/დახვეწას, რომელიც არის მარტივად და სწრაფად განხორციელებადი. დანარჩენ სტანდარტებთან პროგრამა სრულად შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია. კერძოდ, პირველი რეკომენდაციის გათვალისწინებით ტერმინი „ფსიქოლოგიური პრობლემები“ ჩანაცვლდა - „პიროვნების ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემებით“. მეორე რეკომენდაციის საფუძველზე ნომერი პირველი სწავლის შედეგის მესამე ინდიკატორი გადატანილი იქნა მეორე სწავლის შედეგის ინდიკატორების ჩამონათვალში. ხოლო მესამე რეკომენდაციის გათვალისწინებით გადაიხედა ნომერი ორი სწავლის შედეგის მეორე ინდიკატორი და გამრავალფეროვნდა ფსიქოლოგიურ მდგომარეობათა ჩამონათვალი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:25
დასრულების დრო: 14:29

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს მდივანი ვაჟა კელიხაშვილი.

3. მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

პროგრამის დასახელება: ევროპისმცოდნეობა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფი არ ესწრებოდა საბჭოს. აღინიშნა, რომ არცერთი რეკომენდაცია არ გაიცა. ამიტომ, საბჭომ დასაშვებად მიიჩნია საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დიანა მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დადებითი შეფასებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიაჩნდა საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დამატებითი კითხვები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 14:41
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

4. მეოთხე საკითხი:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავრო, “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)” მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, “განათლების ადმინისტრირების”

სამაგისტრო, "განათლების მეცნიერების" სადოქტორო, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები), "ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)", "ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა) და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1 –ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: სკოლამდელი განათლების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 2 – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება (საზოგადოებრივი და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით)
საფეხური: საბაკალავრო- სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 300
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 3 –განათლების ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

პროგრამა 4 –განათლების მეცნიერება
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0111 განათლების მეცნიერება
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

პროგრამა 5 –დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები)
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 6 – საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართუ ლი ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)
საფეხური: -
სწავლებისენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

პროგრამა 7 – დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)
საფეხური: -
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

პროგრამა 8 –სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: -
სწავლებისენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 60
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება გააკეთეს ბონდო გასვიანმა და ირინა ლობჟანიძემ. აცილების საფუძველია შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, პიტერ პეტეგემმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს შეფასდა 8 საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია მოეპოვებინათ დაწესებულებისა და შესაბამისი

მხარეებისგან. ექსპერტების შეფასება პოზიტიურია, ჰოლესტიკური თვალსაზრისით 2 პროგრამა ხუთივე სტანდარტს აკმაყოფილებს. 4 პროგრამისთვის რეკომენდაციები პირველი სტანდარტიდან გაიცა, ხოლო 3 პროგრამას ეხება მეორე სტანდარტში გაცემული რეკომენდაციები. კლასტერის პროგრამები იმსახურებენ მაღალ შეფასებას, რადგან მათ აქვთ ძლიერი აქცენტი კვლევასა და განათლებას შორის კავშირზე, ეს უზრუნველყოფილია სწავლებაში კვლევის ინტეგრირების გზით. ეს გამოიხატება იმაში, რომ მიმდინარე კვლევის მიგნებები, რომელიც წარმოებულია როგორც დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, ისე გარე მხარეების მხრიდან. ამ მიდგომის მნიშვნელოვანი უპირატესობაა ის, რომ იგი ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ განვითარებას და იმავდროულად აღრმავებს სტუდენტების ცოდნასა და გაცნობიერებას თუ რამდენად შეიძლება კვლევის მიგნებების და მონაცემების გამოყენება დღევანდელობაში აქტუალური გამოწვევების გადასალახად. ასევე, პოზიტიური დამოკიდებულება განპირობებულია ინსტიტუციის მხრიდან საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის მაღალი დონით და ძლიერი აქცენტით საზოგადოების პროგრამაში ჩართულობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ პროგრამების მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის თანამედროვე საზოგადოებისათვის საკმაოდ ღირებული და ასევე ფართო სპექტრის საზოგადოებრივი მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, ეს პროგრამები წარმოაჩენს უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციის პოტენციალს და ხელს უწყობს როგორც სამეცნიერო კუთხის, ისე საზოგადოებრივი სიკეთის გაძლიერებასა და გამყარებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები დაყოფილია 4 ჯგუფად - 1. ინტეგრირებული საბაკალავრო და სამაგისტრო და განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები; 2. განათლების მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები; 3. მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; 4. მთლიანად კლასტერთან მიმართებით გაცემული რჩევები. პირველი რეკომენდაციის თანახმად უნდა გადაიხედოს მოქმედებაზე დაფუძნებული კვლევა და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების შესაძლებლობის თვალსაზრისით გახდეს შესაძლებელი, რომ სტუდენტებს სრულ სპექტრთან ჰქონდეთ შეხება როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკაში. ეს რეკომენდაცია გამომდინარეობს იქიდან, რომ ძალიან ექსკლუზიურად არის აქცენტი გაკეთებული მოქმედებაზე დაფუძნებულ კვლევაზე და თვალსაჩინოდ არ არის შესაძლებელი სხვადასხვა მიდგომების შერჩევის შესაძლებლობა. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამამ გაითვალისწინოს ინდივიდუალური კვლევის კომპონენტი იმისათვის, რომ თითოეული სტუდენტის მიერ იყოს წარმოჩენილი კვლევის მეთოდოლოგიის, მონაცემთა ანალიზის და დამოუკიდებელი სამეცნიერო ნაშრომების ის უნარები, რომელიც მოთხოვნილი და საჭიროა ამ კვლევითი შესაძლებლობების შესაფასებლად. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია, რომ სტუდენტებმა გარკვეული დოზით დამოუკიდებლად იმუშაონ სამაგისტრო ნაშრომებზე, რათა თითოეული სტუდენტის როლი უფრო მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი. ეს საკითხი გავლენას ახდენს სტუდენტთა შეფასებაზე, რადგან გულისხმობს ჯგუფური შეფასების მიდგომიდან ინდივიდუალურ შეფასებაზე გადასვლას. ან საჭიროა პროგრამაში დაინერგოს ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტის შეფასება ზუსტად ასახავდეს მათ ინდივიდუალურ წვლილს და ძალისხმევას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ყველა ეტაპზე.

სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს და განახლდეს კურიკულუმის რუკა, რათა სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაში იყოს ძირითადი სასწავლო კურსების მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფი უწევს რეკომენდაციას მრავალმხრივი შეფასების მიდგომის განხორციელებას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მესამე სწავლის შედეგთან შესაბამისობა ყოვლისმომცველი შეფასების თვალსაზრისით.

მომდევნო რეკომენდაცია სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით ეხება დაშვების წინაპირობებს. ექსპერტების აზრით, საჭიროა მიზანმიმართული მოთხოვნების დადგენა, იმისათვის, რომ გაძლიერდეს ლოგიკური კავშირები დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის

შინაარსს შორის. ეს ხელს შეუწყობს კვლევისა და სატრანსფერო უნარების კიდევ უფრო განვითარებას. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებული რეკომენდაციაა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას აქვს დაშვებასთან დაკავშირებით ღია წვდომის პოლიტიკა უაღრესად მნიშვნელოვანია შეიქმნას მინიმალური კრედიტის მოთხოვნები არჩევითი ბლოკიდან, რათა უზრუნველყოფილი იყოს მრავალმხრივი სამეცნიერო განვითარება იმის მიუხედავად თუ რა კვალიფიკაცია გააჩნია სტუდენტს.
მასწავლებელთა მომზადების სამ პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია, რომ პედაგოგიკის მოდულების სასწავლო კურსები საგნობრივ მოდულებსა და სასკოლო პრაქტიკუმის ბლოკებში გათვალისწინებული იყოს კონცეპტუალურ პედაგოგიკაზე დაფუძნებული მიდგომა. იქიდან გამომდინარე, რომ პორტფოლიოს დაცვასთან დაკავშირებით ცოტა ბუნდოვანება იყო სტუდენტებს შორის ექსპერტებმა შეიმუშავეს შემდეგი რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, რეკომენდებულია, რომ პორტფოლიოს სისტემა შეიცვალოს და აისახოს სწავლების წინა, მიმდინარე და შემდგომი რეფლექსიები.
ექსპერტმა რჩევებიდან გამოყო სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გაცემული რჩევა, რათა პირველი სწავლის შედეგის შინაარსი გაფართოვდეს და პიროვნების განვითარების მიზნით ჩაირთოს ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლების კრიტიკული გააზრება. კერძოდ კი საბაზისო კონცეფციები, როგორიცაა განათლება, აღზრდა და სწავლება. ბოლო რჩევა კი გულისხმობს, რომ პროგრამაში დამატებით აისახოს და ჩაირთოს კომპეტენცია პროფესიული ეთიკის და აკადემიური მიუკერძოებლობის დაცვისა, რაც წარმოადგენს მასწავლებლის და სწავლების პროფესიის უაღრესად მნიშვნელოვან ფასეულობას და მიდგომას. სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მკაფიო წესები შემუშავდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა თუ ციტირების წესებთან დაკავშირებით და ა. შ. ასევე, უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტები შეიტყობენ კონკრეტულად იმ წესების შესახებ, რომელიც პლაგიატის დანართსა და სხვა შესაბამის საკითხებთან არის დაკავშირებული. დაწესებულებისაგან მიღებული არგუმენტირებული პოზიცია არ გაიზიარა ექსპერტთა გუნდმა და დასკვნა უცვლელი დარჩა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამასთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა ამერიკელ კოლეგებთან ერთად დაწესებულებამ ჩაუშვა 2010 წელს ჩაუშვა და მათ გაიზიარეს ამერიკელთა საუკეთესო გამოცდილება განათლების ადმინისტრირებაში როგორც კვლევის დიზაინი და არა როგორც კვლევის მეთოდოლოგია. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ სტუდენტი სამაგისტრო საფეხურზე სწორედაც რომ ინდივიდუალურად ივითარებს კვლევით უნარებს. კანონში მითითებულია, რომ დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს სტუდენტს კვლევითი კომპეტენციის შესაბამისი საქმიანობა, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ კოლაბორაციური პროექტის შემთხვევაში ეს შეუძლებელია. პროგრამა ძალიან ახლოს არის არა მხოლოდ კვლევის კომპეტენციებთან, არამედ პრაქტიკასთან. აქ ყველაზე მთავარი კომპეტენცია, რომელზეც ინსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს, არის ის, რაც მათ პრაქტიკაში ყველაზე მეტად სჭირდებათ და ეს არის მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება. პრაქტიკის კვლევა იძლევა ამის საშუალებას, რომ სტუდენტები არამხოლოდ ახალგაზრდა სამეცნიერო დამკვირვებლები იყვნენ, რომლებიც ტრადიციულ შემთხვევაში ინდივიდუალური კვლევის დროს არის შესაძლებელი, არამედ გააკეთონ ეს თავად ცოცხალ გარემოში. იმისათვის, რომ მისის დამოუკიდებლად მუშაობის წვლილი არ დაიკარგოს, ამის მექანიზმები პროგრამაში უკვე შექმნილია.
ნათია ანდღულაძემ აღნიშნა, რომ კვლევას უნდა ჰქონდეს კონცენტრირებული და დამოკიდებულება მომავალი მასწავლებლების კარიერაში. პროგრამას ყველაფერთან ერთად

აქვს ორი არჩევითი კურსი „თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და ეს კურსები სტუდენტებმა ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება აირჩიონ. ეს კურსები არის პრაქტიკული, ამ დროს შეიმუშავებენ თეორიულ ჩარჩოს და ა. შ. გარდა ამისა, პრაქტიკის კვლევის კურსი კვლევის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი კურსია, რადგან თეორიის შესწავლის გარდა სტუდენტს მიმდინარე პრაქტიკის კურსის შეფასების საშუალება ეძლევა. კურსის ფარგლებში ისინი შეიმუშავებენ შეფასების თეორიულ ჩარჩოს, აანალიზებენ ლიტერატურას და მასზე დაყრდნობით შეიმუშავებენ მეთოდოლოგიას და ა. შ. ნათია ანდღულაძემ შენიშნა, რომ პრაქტიკის კვლევა არ არის მხოლოდ თვისებრივი მეთოდები, არამედ ის არის ეკლექტური. აქ არის როგორც პოზიტივისტური მიდგომები, ასევე შესაბამისად, ამოცანიდან გამომდინარე სტუდენტს აქვს სრული თავისუფლება. პრაქტიკის კვლევა არჩევით კურსად რომ იყოს მიწოდებული სტუდენტებისათვის არ იქნება სწორი, რადგან ის მოიცავს მთელ კვლევით პროექტებს, ხოლო სხვა ნებისმიერი მისი შემცვლელი ბევრად მარტივი მოდელია და სტუდენტები ამ სხვადასხვა კურსის გავლის შემდეგ არ იქნებიან თანაბარ დონეზე კვლევითი თვალსაზრისით.

ქეთი ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა კურსის ფარგლებში სტუდენტები საკმაოდ მრავალფეროვან კვლევით მოდელს სწავლობენ და ასევე იმუშავებენ ამ კვლევების ჩატარებისა და განხორციელების უნარს. პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ რეკომენდაციების დატოვების შემთხვევაში პროგრამის ღირებული ნაწილის სრულიად გადაეწყობა. ამიტომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია ეს რეკომენდაციები ამოღებულ იქნას რეკომენდაციებიდან.

სოფიკო ლობჟანიძემ დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა სწორედ მას ეფუძნება. ამიტომ სრულად შესაძლებელია კვლევა მიმდინარეობდეს ჯგუფურად. ეს წერია დარგობრივ მახასიათებელშიც. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სტუდენტთა ინდივიდუალური წვლილი, რა თქმა უნდა, ფასდება. სამაგისტრო კონცეფციაში დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტები ყველა ეტაპზე ფასდება ინდივიდუალურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ჯგუფის 2-მა წევრმა დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო 1 ის ნაშრომი წარმატებული არ იყო. მაშასადამე, შეუძლებელია ეს ინდივიდუალური შეფასების გარეშე მოხდეს. ხელმძღვანელი არ აფასებს მხოლოდ ნაშრომს, ის აფასებს სტუდენტის ჩართულობას.

მარინა კაპანაძემ 1.3 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა 6 შედეგს, რომელიც პროგრამაშია განსაზღვრული. სავალდებულო ბლოკის ერთ-ერთი კურსი ეს არის „სადოქტორო სწავლების შესავალი“, ამ შემთხვევაში მონიშნული იყო მეექვსე შედეგი, რომელიც სწავლებისთვის აკადემიურ დონეზე საჭირო კომპეტენციებს ფარავს. ამ შემთხვევაში მონიშნული უნდა ყოფილიყო მესამე შედეგი. აქ უკვე მეშვიდე სემესტრიდან სტუდენტებთან ხდება ინტენსიური მუშაობა. ისინი ამზადებენ სხვადასხვა ნაშრომს, რათა ფართო საზოგადოებასთან ჰქონდეთ კომუნიკაცია და აქ შეთავაზებული იყო, რომ დაწესებულებამ შეაფასოს თუ როგორ გადის დოქტორანტი აღნიშნულ შედეგზე. ინსტიტუცია მიიჩნევს, რომ ყველა ის სავალდებულო კომპონენტი, რაც აქვს კურს სრულად ფარავს პროგრამის შედეგებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უნივერსიტეტი ჩართულია ,,Horizon”-ის პროექტში, რომელიც ამ კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია დოქტორანტებისთვის.

ქეთი ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ „შესავალს სადოქტორო განათლებაში“ კურსის მიზანია დოქტორანტები პირველივე სემესტრში მთლიანად დააკვალიანოს იმის შესახებ თუ როგორია აკადემიური და სადოქტორო სივრცე, როგორ უნდა მართონ მათი შემდგომი პროცესები და რა არის ის მნიშვნელოვანი უნარები, რასაც უნდა მიაქციონ ყურადღება. აღნიშნული კურსის ფარგლებში 2 კვირა ეთმობა სამეცნიერო კომუნიკაციას და სწორედ ამ საკითხის

მნიშვნელობიდან გამომდინარეა ის, რომ დოქტორანტს უნდა შეეძლოს თავისი კვლევების მარტივად წარდგენა. ეს საკითხები მოიცავს სხვადასხვა ,,აუთლეთებს", სადაც შეიძლება, რომ მათ საკუთარი კვლევები და ნაშრომები წარადგინონ.
მარიკა კაპანაძემ აღნიშნა, რომ 1.4 რეკომენდაცია ეხება კრედიტების რაოდენობას. ამასთან დაკავშირებით ხაზი გაესვა იმას, რომ პროგრამის შემუშავებისას ამოსავალი წერტილი იყო პროგრამის მოქნილობა, რომ ის არ ყოფილიყო შეზღუდული და საშუალება ყოფილიყო, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებს თავიანთი კვლევითი შესაძლებლობებიდან გამომდინარე აერჩიათ ის კურსები, რომლებიც მათი კვლევისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი. ამის საფუძველს იძლეოდა დოქტორანტთა შეფასება იმის შესახებ, რომ მათ სჭირდებოდათ მეტი არჩევანი და თავისუფლება იმისათვის, რომ აირჩიონ კურსები, რომლებიც იქნება მათ კვლევასთან უფრო ახლოს მდგომი. ეს საკითხი გარკვეულწილად დაკავშირებულია მიღების მოთხოვნებთან. პროგრამის მიზანია არ შეიზღუდოს აპლიკანტი ამ პროცესში, და მას საშუალება ჰქონდეს სასურველი კურსის არჩევისა. კურსზე არის 24 სავალდებულო კრედიტი, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაფაროს და დანარჩენი 36 არის თავისუფალი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დოქტორანტი სწავლის მანძილზე კონსულტაციას გადის ხელმძღვანელთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა პორტფოლიოსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაცემულია 2 რეკომენდაცია, რომელთაგან ერთი ეხება პორტფოლიოს სტრუქტურას და მეორე - მის შინაარსს. მასწავლებლის მომზადების პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის რეფლექსიური უნარების განვითარება სტუდენტებში, პორტფოლიო კი ამის საუკეთესო საშუალებაა. ამის გამო დაწესებულებას აქვს 2 ტიპის პორტფოლიო, ერთი ჩაშენებულია სასწავლო კურსებში, ხოლო მეორე - პროგრამის შემაჯამებელი პორტფოლიო. პირველი მათგანის მიზანია, რომ უზრუნველყოს სტუდენტის მიერ კონკრეტული კურსის ფარგლებში, რომ მან დაინახოს სწავლის პროცესის ერთიანი სურათი და ხელი შეუწყოს სტუდენტს თვითშეფასებაში, რეფლექსიის უნარის განვითარებაში კონკრეტულად იმ თემატიკასთან მიმართებით, რასაც გადის ამ კურსის ფარგლებში. რაც შეეხება პროგრამის შემაჯამებელ პორტფოლიოს, ის წარმოადგენს სტუდენტის მიერ პროგრამის განმავლობაში განვითარებული საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციების შეფასებას. ამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გააკეთოს საკუთარი თვითშეფასება და წარმოადგინოს მინიმუმ ერთი მტკიცებულება თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით და აუცილებელია ამ ყველაფერს მოყვეს რეფლექსია, სადაც აღწერილია როგორ განვითარდა პროგრამის განმავლობაში სწავლის შედეგი. რაც შეეხება ფორმალიზებას, აღინიშნა, რომ შემაჯამებელი პორტფოლიო არ ფასდება ქულით, მას არ ენიჭება კრედიტი. ის არის საშუალება, რომ სტუდენტმა გაანალიზოს რა ისწავლა პროგრამის ფარგლებში და ის არის ძალიან კარგი საშუალება დამსაქმებელთან კომუნიკაციისთვის. იგი ფასდება მხოლოდ ჩათვლით.
დაწესებულების წარმომადგენელმა 1.5 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ სასერტიფიკატო პროგრამა არის 60 კრედიტიანი. ეს არ არის დიდი მოცულობა, ამიტომ თითოეულ თემას ცალკე კურსი ვერ დაეთმობა. მნიშვნელოვანი საკითხები კი კურსებშია გადანაწილებული. კონცეპტუალურ პედაგოგიკაზე დაფუძნებული მიდგომა გათვალისწინებულია, მაგალითად „ეფექტური სწავლება, კომუნიკაცია და საკლასო მენეჯმენტის" კურსში. პირველივე ლექციაზე საუბარია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე. უსაფრთხო სკოლის საკითხები განხილულია სამ კურსში, ერთ-ერთი სწავლის შედეგია: სტუდენტი კონკრეტულ სიტუაციაზე დაყრდნობით მსჯელობს პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებელზე, კლასის მართვის სხვადასხვა ტიპის გავლენაზე პოზიტიური სასწავლო კურსის ფორმირებისთვის და თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე. კურსის ფარგლებში ამ საკითხს ეხება მე-11 ლექცია. შემდეგი კურსია „ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები", სადაც სწავლის შედეგი გვეუბნება, რომ სტუდენტი მსჯელობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლის ეფექტიან და ტრანზიციაში სკოლის სპეციალისტებისა და ოჯახის როლზე. ასევე,

„სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიაში წერია, კულტურულად მრავალფეროვანი გათვალისწინებით ფორმალურ უსაფრთხო მახასიათებლებზე და ა.შ.
აღინიშნა ისიც, რომ პროგრამაში არის სავალდებულო არჩევით ბლოკიც, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტმა რომელი კურსიც არ უნდა გაიაროს აღნიშნული საკითხები ყველა მათგანშია ჩაშენებული. სოლოტაქსონომიასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა შენიშნა, რომ მასწავლებლის პროფესია არის რეგულირებად პროფესია და ინსტიტუცია ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, მასწავლებლის სტანდარტს. სოლო ტაქსონომია დოკუმენტებში არსად არ არის განხილული, ამიტომ დაწესებულებამ საჭიროდ არ ჩათვალა მისი შეტანა დოკუმენტებში, თუმცა მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების კომპონენტები მრავლადაა წარმოდგენილი. ბავშვთა ურთიერთობის თემატიკაც სისტემურად არის გაშლილი პროგრამაში. აქ მთავარი არის დიფერენცირებული მიდგომა, სწავლის უნივერსალური დიზაინი, ყველაფერი მორგებულია სტუდენტთა კომფორტზე. ევროკომისიის ძირითად და დემოკრატიულ-კულტურულ კომპეტენციებსა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ერთ ერთი კომპეტენცია ციფრული წიგნიერების განვითარება. ამაზე ორიენტირებული კურსი ცალკეა წარმოდგენილი პროგრამაში.
მარინა კაპანაძემ მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩარიცხვის არსებული წინაპირობები მიზანმიმართულად არის შექმნილი, რომ ის მორგებული იყოს პროგრამის ინტერდისციპლინარულ ხასიათს და ითვალისწინებდეს პროგრამის სტრუქტურას. ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ სტუდენტს შესაბამის სფეროში უნდა ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება ან კვლევითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ან/და შესაბამის სფეროში ორწლიანი მუშაობის გამოცდილება. ამავდროულად ის წარადგენს თავისი სამომავლო კვლევის განაცხადს, რომელსაც ადგენს სამომავლო ხელმძღვანელთან ერთად. თუმცა ჩარიცხვა არ ხდება მხოლოდ დოკუმენტაციის საფუძველზე. ყველა ამ წინაპირობის გათვალისწინებით ხდება მასთან გასაუბრება, სადაც მოწმდება ყოველივე ზემოთ აღნიშნული. აქ მნიშვნელოვანია აკადემიური თავისუფლების ხარისხი. სტუდენტი შეზღუდული არ უნდა იყოს არჩევანში.
ქეთი ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის საკმაოდ კონკურენტული და მიღებული სტუდენტები მომზადებულნი არიან იმისათვის, რომ სადოქტორო პროგრამაზე გააგრძელონ სწავლა. შესაბამისად, იმის რისკი, რომ მარტივად მოხვდნენ აპლიკანტები პროგრამაზე, ფაქტობრივად, არ არსებობს.
დაწესებულების წარმომადგენელმა 2.2 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ნარატიულ ნაწილში რეკომენდაციასთან დაკავშირებული არგუმენტაცია მოცემული არ არის. აქედან გამომდინარე რეკომენდაციას ვერ გაითვალისწინებს დაწესებულება. 2.4 სტანდარტში გაცემულია რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც ნაშრომი უნდა იყოს ინდივიდუალური, რასაც ისევ ვერ იზიარებს ინსტიტუცია. ეს გამომდინარეობს პროგრამის აღქმის სხვანაირი ხედვიდან. ნარატიულ ვერსიაში წარმოდგენილია სტუდენტის ამონარიდი, რომ თითქოს სტუდენტები აკეთებენ იმას, რაშიც არიან ძლიერები. თუმცა 50% ეთმობა ინდივიდუალური წვლილის შეფასება სამაგისტრო ნაშრომში. ორი წლის განმავლობაში, როდესაც ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს, ხელმძღვანელი ამოწმებს იმ დავალებების შესრულების ინდივიდუალურ დონეს, რაც ეძლევა მაგისტრანტს ამ დროის მანძილზე. განხილვის ფონზე კი ხდება ინდივიდუალური დავალებების შეფასება. ეს აძლევს საშუალებას ხელმძღვანელს, რომ ინდივიდუალურ დონეზე შეაფასოს სტუდენტი.
ქეთი ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ თავად პროგრამა ითვალისწინებს ჯგუფური კვლევის მოდელს. იმის შესანარჩუნებლად, რომ პრაქტიკის კვლევა იყოს მაღალ საფეხურზე, აუცილებელია ამ კომპონენტის შენარჩუნება. ეს არის უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკა, რომ საუკეთესოდ დაკმაყოფილდეს სწავლის შედეგები.

ნათია ანდღულაძემ შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლექტორის მიერ სტუდენტის ინდივიდუალური შეფასება კონცეფციაში არის შეტანილი და ამით ხელმძღვანელობს ყველა ლექტორი. ამასთან დაწესებულება აპირებს კიდევ უფრო დეტალურად ჩაშალოს ლექტორთათვის შეფასების სქემა, რათა მეტად გამჭვირვალე იყოს პროცესი.
რუსუდან სანაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული დასკვნა იყო გუნდის ერთობლივი გადაწყვეტილება და რეკომენდაციები ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ პროგრამის გაუმჯობესებას. ხაზი გაესვა იმას, რომ ისეთი რეკომენდაციები არის წარმოდგენილი, რომელიც ორმაგი კონტროლის დროს მტკიცებულებების სახით არ დაფიქსირდა. კონკრეტულად, ერთ-ერთი გამოწვევა იყო პრაქტიკა, რომელიც სტუდენტთა მხრიდან არ იყო აღქმული. ასევე ჯგუფურ ნაშრომთან დაკავშირებით ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ინდივიდუალურად სტუდენტი თავის მაქსიმუმს ვერ წარმოადგენს ნაშრომში, ამიტომ რეკომენდაციაც ამას ემსახურებოდა.
მარინე გოგნელაშვილმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები დამყარებულია გარკვეულ საფუძვლებზე. სილაბუსში წარმოდგენილია აღნიშნული თემები, თუმცა ყველა კომპონენტი არ ფარავს აღნიშნულ თემას. მაშასადამე, ინსტიტუციამ უნდა გადახედოს და შეავსოს ყველა ის საკითხი, რაც კომპეტენციისთვის არის მნიშვნელოვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მეოთხე სტანდარტი სრულად შესაბამისად არის მიჩნეული, თუმცა დოკუმენტებში ზოგ პროგრამაზე წარმოდგენილია 2-3 აკადემიური პერსონალი, მას აინტერესებდა ამის შესახებ ექსპერტთა დამოკიდებულება.
რუსუდან სანაძემ განმარტა, რომ ექსპერტებმა გაამახვილეს ამაზე ყურადღება, თუმცა გათვალისწინებულ იქნა მთლიანი კონტექსტი და ინტერვიუების დროს წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ასოცირებული პროფესორები, ასევე მოწვეული პერსონალიც.
ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰყავს პერსონალის რაოდენობა იმ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებსაც სამომავლოდ მიიღებენ პროგრამაზე.
მარინა კაპანაძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაში 10-ზე მეტი პროფესორია ჩართული.
ხათუნა დოლიძემ განმარტა, რომ ეს დაწესებულებისთვის ნამდვილად არის გამოწვევა, თუმცა ადრეულ განათლებასთან მიმართებით ის პრაქტიკული კურსი, ვინც რეალურად ამ ცვლილებებს ახორციელებს თავმოყრილია დაწესებულებაში.
ქეთევან აფთარაშვილს ასევე აინტერესებდა სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით, თუ რა გახდა იმის საფუძველი, რომ ექსპერტმა გუნდმა არ გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია.
ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ ეს არის კომპლექსური საკითხი. ერთი შეხედვით, აღნიშნული წინაპირობები საკმაოდ გასაგები და მისაღებია, თუმცა მეორეს მხრივ, პროგრამა, რომელიც შედგება 60 კრედიტისგან. აქედან 36 კრედიტი გათვლილია თავისუფალი კურსებისთვის, 18 კრედიტი დოქტორანტს შეუძლია მხოლოდ კვლევით ნაწილში აიღოს, მაგრამ საგნები, რომლებიც არის განათლების მიმართულებით არის ყველა არჩევით ბლოკში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოქტორანტები ნამდვილად საუბრობენ წინაპირობებზე, თუმცა მათი მსჯელობა იმ დროს არსებული პროგრამიდან გამომდინარეობდა, რომელიც იყო საკმაოდ ხისტი და არ მოიცავდა არჩევით კომპონენტს და ასევე, არ იყო შეთავაზებული მრავალფეროვანი კურსები განათლების მიმართულებით.
ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა I-VI კლასებში სამივე საგანი (ქართული, მათემატიკა ბუნება და არჩევით საბუნებისმეტყველო, ან სპეცმასწავლებელი) შეასწავლოს. მას აინტერესებდა კურსდამთავრებულს ექნება თუ არა სამივე საგანში ის უნარი, რომ ასწავლოს ბავშვებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როცა პროგრამამ პირველად გაიარა აკრედიტაცია, მაშინაც I-VI კლასს ფარავდა. პროგრამაში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი გადატანილია სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე. ამას ადასტურებს ის, რომ ყველა კურსდამთავრებული არის დასაქმებული.
ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით კვლავ ინსტიტუციას მიმართა. მასწავლებლის მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით მას აინტერესებდა, რომ მაგალითად, თუ სტუდენტს დამთავრებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირება აქვს თუ არა უფლება მათემატიკის პროგრამაზე მოსვლის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიღების, სწავლის უფლბა აქვს, ოღონდ კანონის გათვალისწინებით მთავარია, ჩაბარებული ჰქონდეს სტუდენტს შესაბამისი საგნისა და შესაბამისი დონის გამოცდა, თუმცა ამ ეტაპზე პროფესიაზე ბლოკავს და ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები თავიდანვე.
მარიკა კაპანაძემ აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ კურსშია გამოყენებული ინტეგრირებული მიდგომა და შესაბამისად ამით ხდება უზრუნველყოფა სამივე საგანში კომპეტენტურობის შენარჩუნებისა.
ციური დურულმა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით დაწესებულებას მიმართა კითხვით. საკვალიფიკაციო ჩარჩო მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით ამბობს, რომ კვლევა უნდა იყოს დამოუკიდებელი. მას აინტერესებდა დაწესებულების მიერ აღნიშნული საკითხო, რომ ამ ნაწილში მიიღებენ ზომებს რას გულისხმობს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ინსტრუმენტის დანერგვაში მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას, რათა იყოს მკაფიო. მთვარ ინსტრუმენტში ეს მოცემულია და თავად იმის წინაპირობას ქმნის, რომ ხელმძღვანელი უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ჩართული, ვიდრე ექსპერტებს დარჩათ ამისი შთაბეჭდილება. ამიტომ ეს მექანიზმი დაიხვეწება, რადგან გარეშე თვალისთვისაც მკაფიო იყოს.
ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ შეფასებაზე იყო საუბარი, შედეგების გამიჯვნაზე არაფერი აღნიშნულა. როდესაც ერთ პრობლემაზე მუშაობს სამი ადამიანი. მას აინტერესებდა თუ როგორ ხდებოდა დასკვნის შედეგის აღნიშვნა.
ნათია ანდღულაძემ აღნიშნა, რომ დასკვნების გამოტანაც ხდება ინდივიდუალურად. ამ შემთხვევაში სტუდენტთან ხდება გასაუბრება დასკვნის შესახებ თუ რამდენად გაიგო აღნიშნული საკითხი და რამდენად იაზრებს ამ ყოველივეს. კვლევითი მოიგნება ეკუთვნის ჯგუფს და არა ინდივიდუალურად სტუდენტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რადგან პროექტი არის ჯგუფური ის იყოფა 2 ეტაპად. ისინი ჯერ ინდივიდუალურად მუშაობენ და შემდგომ ხდება შეჯამება. შესაბამისად კვლევის მიგნებები ჯერ არის ინდივიდუალური და შემდეგ ხდება ჯგუფური.
თეა მჭედლურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას არჩევით ბლოკთან დაკავშირებით. ინსტიტუციას აქვს აღნიშნული, რომ სადოქტორო პროგრამა არ არის მხოლოდ კვლევითი კომპონენტი, თუმცა განათლების კურსები არ არის შეთავაზებული ძირითად საგნებად. შესაბამისად, მას აინტერესებდა რატომ არ იზიარებენ ექსპერტების რეკომენდაციას ამ საკითხტან მიმართებით.
მარინა კაპანაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას საკმაოდ მაღალი მოთხოვნა აქვს განათლების სადოქტორო პროგრამაზე. ძირითადად აქ მოდიან კვლავ ილიას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომელთა ცოდნის შესახებაც დაწესებულებას აქვს ინფორმაცია. შესაბამისად, კვლავ იგივე საგნებისა და ინფორმაციის შეთავაზება იქნება დოქტორანტისთვის მომაბეზრებელი. ამავდროულად აღინიშნა, რომ კვლევის ასისტირება მთლიანად განათლებას მოიცავს.
ალექსანდრე კალანდაძემ სამაგისტრო ნაშრომთან და მის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინდივიდუალური შეფასება მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუმცა ნაშრომის წარდგენა ხდება ჯგუფურად. შესაბამისად კომისია ვერ აფასებს სტუდენტს ინდივიდუალურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინდივიდუალური წვლილის შეფასების მექანიზმი უნდა დაიხვეწოს. ჯგუფური დაცვა 20% ფასდება და ინდივიდუალური წვლილი ფასდება ხელმძღვანელის მიერ.
ილია ბოცვაძემ აღნიშნა, რომ ჯგუფური კომპონენტი ვერ პასუხობს ვერც კანონს და არის დიდი გამოწვევა, ამიტომ, უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს ამ საკითხს.
ქეთი ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ არცერთი კანონი არ ავალდებულებს დაწესებულებას, რომ ნაშრომი იყოს ინდივიდუალური.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:18
დასრულების დრო: 19:27

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების" საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)" მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულებით)” მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "განათლების მეცნიერების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები)“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა) საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა)“ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

5. მეხუთე საკითხი: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 06 ივლისის №769521 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
6. მეექვსე საკითხი: „სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 05 თებერვლის №37 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და თეა მჭედლურმა. აცილების საფუძველია შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პროგრამა 1 - სურსათის მეცნიერება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

პროგრამა 2 - სურსათის მეცნიერება
საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0721 სურსათის გადამუშავება
სწავლებისენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 30
სტატუსი: აკრედიტებული

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სალომე თათულიშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილება განხორციელდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორში. კერძოდ, ეს ცვლილება ეხება 0721-ს, ანუ სურსათის გადამუშავებას. "სასურსათო ტექნოლოგიის" სფეროს დასახელება შეიცვალა და ჩამოყალიბდა" სურსათის ტექნოლოგია". აღნიშნული წარმოადგენს კლასიფიკატორში ტექნიკურ ცვლილებას. დაწესებულებამ მიმართა ცენტრს წერილობით და აცნობა კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ.
ქეთი ინანაშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა არის აკრედიტებული 2018 წელს და დღეისთვის ის რეესტრის ბაზაში დაფიქსირებულია ძველი კლასიფიკატორის კოდით. ასევე, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არის აკრედიტებული 2022 წლის 26 ივნისს და ამ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა სწავლის შედეგების ახალი კლასიფიკატორის პირობებში. მაშასადამე, კვალიფიკაციის დაზუსტება შესაძლებელია მოხდეს სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში. ხოლო რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამას, კვალიფიკაციის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს 2 გზით, პირველი, შესაძლებელია განვიხილოთ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი, ხოლო მეორე, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შეფასების გზით. დაწესებულებაც ცენტრში უკვე შემოტანილი აქვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სააკრედიტაციოდ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის "სადოქტორო საგანამანთლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" სადოქტორო საგანამანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 22 ივნისის №769521 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს ცვლილება და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის ველში მიეთითოს: ,,სურსათის ტექნოლოგიის დოქტორი.“
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის "საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0

წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების თაობაზე.
საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის 2025 წლის 22 ივლისს.

7. მეშვიდე საკითხი: „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ვიზუალური ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54364 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
8. მერვე საკითხი: „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54369 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
9. მეცხრე საკითხი: „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54377 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

გიორგი ირემაშვილმა აღნიშნა, რომ საქმე ეხება უკვე აკრედიტებულ პროგრამებს, რომლებმაც აკრედიტაცია მიიღეს 2024 წლის იანვარში. პირველი პროგრამაა „ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა“ და მასთან ერთად არის გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამა. ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო პროგრამისთვის გაცემული იყო რჩევა 1.1 კომპონენტში და რჩევა ეხებოდა სახელწოდების ცვლილებას. დაწესებულებამ შემოიტანა შუამდგომლობა ცენტრში, როგორც ამ პროგრამის, ასევე კლასტერში ნახსენები 2 პროგრამის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ რჩევის შესაბამისად, დაწესებუელბამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროგრამის სახელწოდების შეცვლა.
ლევან შავაძემ დაწესებულებას მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა დარგობრივ მახასიათებელთან თუ იყო თანხვედრაში აღნიშნული ცვლილებები.
ნინო ღაღანიძემ დაადასტურა აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ვიზუალური ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54364 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ვიზუალური ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54364 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს: „ვიზუალური ხელოვნება“ (თეატრის მხატვრობა, კინო-ტელე მხატვრობა).

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54369 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54369 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს: გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება“ (დაზგური გრაფიკა. წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია, პლაკატის დიზაინი, ანიმაცია).

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54377 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №54377 გადაწყვეტილების დანართში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად განისაზღვროს: „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება“ (დაზგური გრაფიკა, სარეკლამო გრაფიკა, ხატვა).

ყველა საკითხის დასრულების შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:53 სთ-ზე
.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე